ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11925014001**

თარიღი:**14/01/2025**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის აპარატის უფროსის თამარ ცქიტიშვილის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად ჩათვლის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2024 წლის 13 დეკემბრის საქართველოს კანონის (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, www.matsne.gov.ge 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.102434) მე-2 მუხლის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საკრებულოს აპარატის უფროსი) თამარ ცქიტიშვილი 2024 წლის 30 დეკემბრიდან ჩაითვალოს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად.

2. პირველ პუნქტში მითითებული ადამინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო 2024 წლის 30-31 დეკემბერს განისაზღვროს „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის #25 დადგენილების შესაბამისად, ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის #13 დადგენილების შესაბამისად.

3. წალკის მუნიციპალიტეტის აპარატს დაევალოს ბრძანებით განსაზღვრულ საჯარო მოსამსახურესთან ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2024 წლის 30 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი